

## უსარგებლო სიფრთხილის საზღაურად

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 5 ივლისი. 20 000 მაყურებელი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 1:0.

“ზენიტი”: ბირიუკოვი, დოლოგოპოლოვი, სტეპანოვი, კუზნეცოვი, ვედენევი, აფანასიევი, ზოლინი, ყელუდკოვი, კომაროვი, მელნიკოვი, კლემენტიევი.

“დინამო”: ბალაძე, უკლება, ჭილაია, პაიკიძე, ბარათაშვილი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჟორჟიკაშვილი, ქოჩიანი.

85–ე წთ. სტეპანოვი.

52–ე წთ. კომაროვის ნაცვლად დმიტრიევი, 57–ე წთ. მელნიკოვის ნაცვლად – ჩუხოვი, 66–ე წთ. ქოჩიანის ნაცვლად – გოგრიჭიანი.

მსაჯი: ალექსეი სპირინი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 19:9 (9:5), ზუსტი დარტყმა – 8:5 (3:3), საჯარიმო მოედნიდან – 11:1 (4:0).

კუთხური – 6:3 (1:1).

დაჯარიმდნენ: ლენინგრადელები – 17 (5), თბილისელები – 7 (3).

დუბლიორები – 1:4. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: შენგელიამ (2), ჟვანია და მახარაძე.

ზუსტად შენიშნა ამ მატჩის მთავარი მომენტი შეხვედრის ტელეკომენტატორმა გენადი ორლოვმა და, სხვათა შორის, მოსწრებულადაც თქვა: თბილისელები საკუთარი მეკარისკენ უფრო ხშირად არტყამენ ბურთს, ვიდრე მეტოქის კარისკენ.

ვფიქრობ, ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსმა განაპირობა გუშინდელი მატჩის ხასიათიცა და საბოლოო შედეგიც, რომელიც, ბარემ აქვე ვიტყვი, სავსებით ლოგიკური და სამართლიანი იყო.

რა თქმა უნდა, მეკარეც მოთამაშეა, არც არავის აუკრძალავს და მისთვისაც შეიძლება ბურთის მიწოდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხერხს ორი საკმაოდ ცუდი მომენტიც თან სდევს. მსოფლიოს რომელიც გნებავთ სტადიონზე მეკარისთვის ბურთის ხშირი მიწოდება მაყურებელში უსიამო გრძობას იწვევს, ეს ერთი, და მეორეც: როცა ამგვარად პასიურობ, მეტოქე, თუნდაც არ შეძლოს და არც იცოდეს, რომ ეს საჭიროა, ინტუიციით მაინც აკეთებს იმას, რაც შენ არ გსურს. ერთი სიტყვით, თვითონ იწყებს აქტიურობას. აი, ასე ძალად გაააქტიურეს სტუმრებმა მასპინძლები, რომლებსაც, თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გოლის გატანის წელი არ ჰქონდათ.

მატჩი საკმაოდ უღიმღამოდ დაიწყო. თუმცა, თამაში ასეთნაირი უფრო “ზენიტისთვის” და მისი მაყურებლისთვის იყო. “დინამო” საკმაოდ იოლად ახერხებდა მეტოქის უმნიშვარი იერიშების მოგერიებას და პირველი ტაიმის მეოცე წუთიდან მოყოლებული თვითონაც ცდილობდა შეტევაზე გადასვლას.

პირველი ასე თუ ისე სახიფათო სიტუაცია თბილისელთა კართან მხოლოდ 23–ე წუთზე შეიქმნა. ყელუდკოვმა დროის ამ მცირე მონაკვეთში ორჯერ დაარტყა “დინამოს” კარისკენ. 25–ე და 26–ე წუთებზე უკვე მასპინძელთა მეკარეს მოუხდა თამაშში ჩაბმა: კაკილაშვილი–გუცაევი–კაკილაშვილისა და გუცაევი–უკლებას კომბინაციების შემდეგ ბირიუკოვმა საკმაოდ კარგად ითამაშა. ორიოდვე წუთის შემდეგ კვლავ ყელუდკოვმა თბილისელთა კარის სიახლოვეს – შვიდიოდვე მეტრიდან ძალიან ძლიერად

დარტყმული ბურთი ბალაძემ მოიგერია. 34-ე წუთი. თბილისელთა საპასუხო შეტევა – ბარათაშვილის რეიდი და კარის გასწვრივ ჩანოდება. მასპინძელთა ბედად, ბურთის მიმართულების შემცვლელი იქ არავინ აღმოჩნდა. ტაიმის მიწურულს “ზენიტმა” გაითამაშა მრავალსვლიანი კომბინაცია, რომელიც მელნიკოვის სახითათო, მაგრამ ოდნავ უზუსტო დარტყმით დასრულდა.

დასახსომებელი მომენტებით თუ ვიმსჯელებთ, პირველი ორმოცდახუთი წუთი მიუხედავად მასპინძელთა მცირე ტერიტორიული უპირატესობისა, თანაბარი იყო. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას მეორე ტაიმზეც. მე-60 და 67-ე წუთებზე ჩუხლოვსა და სტეპანოვს ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა, 72-ე წუთზე ზედიზედ ორჯერ – უკლებასა და გუცაევს. აქედან მოყოლებული “ზენიტი” მთლად ხელაღებით ვეღარ მიდიოდა იერიშზე და მატჩი ალბათ ფრედ დამთავრდებოდა, თბილისელებს უადგილო პასიურობით თვითონვე რომ არ წაეხალისებინათ მასპინძლები. ასეთ საჩუქარზე უარს არავინ ამბობს და “ზენიტმაც” მშვენივრად გამოიყენა ეს შანსი. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ლენინგრადელთა სწრაფი იერიშის შემდეგ თბილისელთა კარი ბენჯზე გადაურჩა გოლს – მცველებმა კუთხურზე მოიგერიეს ბურთი. მაგრამ ახლა სტეპანოვმა იმარჯვა – ჯერ თავით დაარტყა კუთხურიდან ჩამონოდებული ბურთი, მერე გაიმეორა დაარტყა, ბოლოს კი, რომ იტყვიან, ბურთიანად შევიდა კარში.

სტუმრებს გადასარჩენი აღარათფერი ჰქონდათ და ხელიც გამოიღეს, მაგრამ “ზენიტმა” მონაპოვარი აღარ დათმო.

ირაკლი ბერიაშვილი.

“ლელო”, 7 ივლისი, 1984 წ.